ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 24

21.01.2019 *ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2*

12:00 საათი *საკრებულოს ბიუროს სხდომათა დარბაზი*

მიმდინარე წლის 21 იანვარს, 12:00 საათზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გიორგი ჩაკვეტაძე** (კომისიის თავმჯდომარე), **ლევან ჯაფარიძე** (კომისიის წევრი), **დავით ჭელიძე** (კომისიის წევრი), **დავით რურუა** (კომისიის წევრი), **ავთანდილ ცინცაძე** (კომისიის წევრი) და **შალვა ოგბაიძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: **პაატა ბაღათურია** (ჩუღურეთის რაიონის გამგეობის, ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილების უფროსი), **ეკა მაჩიტიძე** (ჩუღურეთის რაიონის გამგეობის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი), **ირაკლი თუმანიშვილი** (მთაწმინდის რაიონის გამგეობის, ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილების უფროსი), **თამარ სიხარულიძე** (მთაწმინდის რაიონის გამგეობის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი), **თეონა ფრუიძე** (გლდანის რაიონის გამგეობის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი), **კახაბერ ცქიტიშვილი** (გლდანის რაიონის გამგეობის, ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილების უფროსი), **ნიკა ელისაშვილი** (ისნის რაიონის გამგეობის, ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილების უფროსი), **ელენე დადიანი** (ისნის რაიონის გამგეობის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი), **ბესო ჟღენტი** (დიდუბის რაიონის გამგეობის, ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილების უფროსი სპეციალისტი), **მაია მაღრაძე** (დიდუბის რაიონის გამგეობის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი), **მაია კობრეშვილი** (კრწანისის რაიონის გამგეობის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი), **დავით კვინტრაძე** (კრწანისის რაიონის გამგეობის, ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილების უფროსი), **თენგო ფოფხაძე** (საბურთალოს რაიონის გამგეობის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი), **მიხეილ კორძახია** (სამგორის რაიონის გამგეობის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი), **ალექსანდრე ბრეგვაძე** (ვაკის რაიონის გამგეობის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი), **ირაკლი პაიჭაძე** (ვაკის რაიონის გამგეობის, ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილების უფროსი სპეციალისტი), **ბელა ჯეგბაშვილი** (ნაძალადევის რაიონის გამგეობის,

ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილების უფროსი სპეციალისტი), **მარიამ კუტალაძე** (ნაძალადევის რაიონის გამგეობის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი) და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ფარგლებში განხორციელებული ახალგაზრდული და სპორტული პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა *(საანგარიშო პერიოდი, 2018 წლის III და IV კვარტალი)* (მომხსენებელი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების წარმომადგენლები).
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული კეთილმოწყობის ღონისძიებების ფარგლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა *(საანგარიშო პერიოდი, 2018 წლის III და IV კვარტალი)* (მომხსენებელი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების, ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილების წარმომადგენლები).
3. პროექტის „თბილისის მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგა'' პრეზენტაცია - (მომხსენებელი - ოთარ აბულაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სამდივნოს მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი).

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ,,კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში" ფარგლებში, III და IV კვარტალში, განხორციელებული ახალგაზრდული და სპორტული პროექტების შესახებ ინფორმაცია კომისიას გამგეობების წარმომადგენლებმა წარუდგინეს.

თეონა ფრუიძე (გლდანის რაიონის გამგეობა) - საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 5 ღონისძიება. მათ შორის: ,,გლდანის თასი მინი ფეხბურთში", რომელშიც მონაწილეობდა 200-მდე ადამიანი, ტრენინგები: ,,შეცვალე დამოკიდებულება - შშმ პირების უფლებები", ,,თბილისობა 2018", წინასაახალწლო ღონისძიება შშმ პირებისთვის და მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ბავშვებისთვის.

ღონისძიებების განსახორციელებლად სულ დაიხარჯა 51 924.81 ათასი ლარი.

მარიამ კუტალაძე (ნაძალადევის რაიონის გამგეობა) - საანგარიშო პერიოდში ნაძალადევის რაიონში ჩატარდა სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიება, მათ შორის ტურნირები: საუბრები ხელოვნებაზე ხელოვნების სფეროში მოღვაწე ადამიანებთან, კულტურულ-საგანმანათლებლო შეჯიბრი „წიგნი-ერი“, თოჯინების თეატრი შშმ პირებისათვის, „თბილისობა 2018“, საახალწლო ღონისძიებები და ტურნირები კალათბურთსა და მინი ფეხბურთში.

ღონისძიებების განსახორციელებლად დაიხარჯა 39 277 ათასი ლარი.

მაია მაღრაძე (დიდუბის რაიონის გამგეობა) - ორი კვარტლის მონაცემებით ჩატარდა 2 კულტურული, ახალგაზრდული ღონისძიება. მათ შორის: კულტურულ - საგანმანათებლო ღონისძიება ,,მე ვსწავლობ", რომელშიც ჩართულნი იყვნენ დიდუბის რაიონში მდებარე ყველა საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები და მოსწავლეთა მშობლები, აქტივობები გრძელდებოდა სამი დღე და სულ სამასი მოსწავლე მონაწილეობდა. ღონისძიება ,, ჩემი უბანი", 147 - ე საჯარო სკოლის ბავშვთა ვოკალური ანსამბლის დაჯილდოვება და საახალწლო ღონისძიებები, რომელთა განსახორციელებლად დაიხარჯა 44 765 ლარი.

სპორტული ღონისძიებები ძირითადად ტარდება I და II კვარტალში. ვინაიდან, წლის მეორე ნახევარში ტარდება ქალაქის ტურნირები და ემზადებიან შჯიბრებებისთვის.

დაგეგმილია ტრადიციული სპორტული ტურნირების ჩატარება მინი ფეხბურთში, კალათბურთში, ასევე მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე დაემატება ჩოგბურთის და ბადმინტონის ტურნირი.

ეკა მაჩიტიძე (ჩუღურეთის რაიონის გამგეობა) - საანგარიშო პერიოდში, ჩუღურეთის რაიონში ჩატარდა 3 სპორტული და 3 კულტურული ღონისძიება. მათ შორის: სპორტული ფესტივალი ,,ჩუღურეთი 2018", რომლის მიზანი იყო ჩუღურეთში მცხოვრებ ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. მხიარული რბოლა, რომელშიც მონაწილეობდნენ რაიონში არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეები და ჩემპიონატი ცურვაში სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის.

რაც შეეხება კულტურულ ღონისძიებებს, ჩატარდა წლის წარმატებული მოსწავლეების დაჯილდოვება, საახალწლო ღონისძიება სოციალურად დაუცველი ბავშებისთვის და საახალწლო კონცერტი.

ღონისძიებების განსახორციელებლად ჯამში დაიხარჯა 47 040 ლარი.

ალექსანდრე ბრეგვაძე (ვაკის რაიონის გამგეობა) - ვაკის რაიონში ჩატარდა 4 ღონისძიება. მათ შორის: „ქუჩის კალათბურთი 2018“, ,,წყნეთობა 2018", ტურნირი ფეხბურთში და ახალი წელი ,,SOS ქინდერში". ღონისძიებები ტრადიციული ხასიათისაა და მათ განსახორციელებლად დაიხარჯა 24 111 ლარი.

თენგო ფოფხაძე (საბურთალოს რაიონის გამგეობა) - საბურთალოს რაიონში, საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა შვიდი ღონისძიება, რომელთა განსახორციელებლად დაიხარჯა ჯამში 46 295 ლარი და ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენდა 3 310 ადამიანს.

ჩატარდა ტრადიციული სპორტული *ტურნირი* წყალბურთში, შშმ ბავშვების ერთი დღე აკვაპარკში. *ღონისძიებები:* ქუჩის კინოჩვენება, სტუდენტები თვითმართველობისთვის, საქველმოქმედო ღონისძიების ბილეთების შეძენა, ერთი დღე კინოში და საახალწლო კონცერტი 2019.

ელენე დადიანი (ისნის რაიონის გამგეობა) - ისნის რაიონში ჩატარდა ტრადიციული სპორტული ტურნირები: ქუჩის კალათბურთში, ცურვაში, ქართულ ჭიდაობაში და კრივში, რომელთა ღირებულებამ შეადგინა 17 352, 85 ლარი.

გარდა სპორტული ღონისძიებებისა ჩატარდა მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, თბილისობა 2018, „კავშირი ადამიანებისთვის" განსაკუთრებული მზრუნველობის საჭიროების მქონე ბავშვების გამოფენა და საახალწლო ღონისძიებები, რომელთა განსახორციელებლად ჯამში დაიხარჯა 23 527.20 ლარი.

მიხეილ კორძახია (სამგორის რაიონის გამგეობა) - ჩატარდა ტრადიციული სპორტული ტურნირები: კალათბურთის ტურნირი ,,სამგორის ჩემპიონატი კალათბურთში - 2018", სპორტული მარათონი - ,,სამგორი 2018", ფეხბურთის ტურნირი „სამგორის რაიონის თასი 2018", თავისუფალი ჭიდაონის ტურნირი „სამგორი 2018". სპორტულ ღონისძიებებთან ერთად ჩატარდა კალენდარული ღონისძიებები: თბილისობა 2018 და ახალი წლის ღონისძიება ისთ ფოინთში. ასევე, „დებატები 2018", საახალწლო ნაძვის ხის ღონისძიება და თეატრალური წარმოდგენები სოციალურად დაუცველებისთვის. აღნიშნული ღონისძიებების განსახორციელებლად სულ დაიხარჯა 39 565 ლარი.

იგეგმება სპორტული ტურნირები სხვადასხვა სახეობებში, ქალთა და ბავშვთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, სკოლებს შორის მარათონი, საგანმანათლებლო პროექტი ,,ახალგაზრდული დებატები" და „რა? სად? როდის?", წლის ბოლოსთვის თბილისობის, ახალი წლის და სხვა კალენდარული ღონისძიებები.

მაია კობრეშვილი (კრწანისის რაიონის გამგეობა) - რაიონში სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ძირითადად ჩატარდა I და II კვარტალში, ხოლო III – IV კვარტალში ჩატარდა ორი ძირითადი კულტურული ღონისძიება: კრწანისობის დღესასწაულთან დაკავშირებული კულტურულ-გასართობი ღონისძიება და ახალი წლის ღონისძიებები, რომელთა ბიუჯეტმა შეადგინა ჯამში 28 749 ათასი ლარი.

თამარ სიხარულიძე (მთაწმინდის რაიონის გამგეობა) - საანგარიშო პერიოდში მთაწმინდის რაიონში ჩატარდა: ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, პარა - კალათბურთის მეგობრული მატჩი და კულტურული ღონისძიებები: აზეულას ციხის გახსნა, გასართობი ღონისძიება კოჯრის ბავშვთა სახლში და საახალწლო ღონისძიებები, რომელთა განსახორციელებლად ჯამში დაიხარჯა 49 777.9 ათასი ლარი.

იგეგმება პროექტის „Street art", ფეხბურთის ტურნირისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ავტომრბოლელ ქალთა ფესტივალის ჩატარება.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი) - რა აქტივობებს მოიცავდა საბურთალოს რაიონში განხორციელებული საქველმოქმედო აქცია, პროექტი „ერთი დღე კინოში" და „სტუდენტები თვითმმართველობისთვის" .

- სხვა რაიონებში კრწანისის რაიონთან შედარებით მეტი ღონისძიებები ტარდება, სადაც ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართულები, სასურველია კრწანისის რაიონშიც უფრო მეტი სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიება ჩატარდეს.

თენგო ფოფხაძე (საბურთალოს რაიონის გამგეობა, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი) - პროექტები „ერთი დღე კინოში" და „საქველმოქმედო აქცია"

განხორციელდა გამგეობაში შემოსული განცხადებების საფუძველზე და მათში ჩართულნი იყვნენ შშმ და სოციალურად დაუცველი ბავშვები. რაც შეეხება პროექტს „სტუდენტები თვითმმართველობისთვის", პროექტში ჩართული იყო საბურთალოს რაიონში მცხოვრები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და სამედიცინო უნივერსიტეტის 200 სტუდენტი. აქტივობები ჩატარდა ქალაქგარეთ და განხორციელდა მათთვის ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გაცნობა.

მაია კობრეშვილი (კრწანისის რაიონის გამგეობა, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი) - სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში ძირითადად I და II კვარტალში ჩატარდა.

გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე) - წინა წლების განმავლობაში რაიონებს აღნიშნული მიმართულებით განსხვავებული თანხები ჰქონდა, ხოლო 2018 და 2019 წლის ბიუჯეტით ყველა რაიონში ერთნაირად გამოყოფილია 100 000 ლარი, რაც მნიშვნელოვანი მომენტია. შეიძლება, რომ დიდ რაიონებს მეტი თანხა მიეცეთ პატარა რაიონებთან შედარებით, მაგრამ ამ ეტაპზე აღნიშნული ბიუჯეტი დამაკმაყოფილებელია.

- კარგი იქნება მთაწმინდის რაიონის გამგეობამ კომუნიკაცია დაამყაროს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურთან, რომელიც ახორციელებს ქუჩების მოხატვას სხვადასხვა ადგილებში და გაცილებით ეფექტური შეიძლება გამოვიდეს ერთობლივი პროექტი.

- ქ. თბილისის მერიის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს აქვს პროექტების განმხილველი კომისია, სადაც ამ მიმართულებით შესული პროექტები განიხილება და ფინანსდება. მერია ყოველთვიურად აგზავნის საკრებულოში დაფინანსებული ღონისძიებების კალენდარს, რომელიც საკრებულოს წევრებს ეგზავნებათ და ისინი სურვილისამებრ ესწრებიან.

თხოვნა იქნება გამგეობების შესაბამისმა სამსახურებმა ყოველი თვის პირვე კვირაში საკრებულოში გადმოაგზავნონ მათ რაიონში დაგეგმილი ღონისძიებების კალენდარი, რომელსაც კომისია გადაუგზავნის საკრებულოს წევრებს ღონისძიებებში მათი ჩართულობის მიზნით. ასევე, საჭიროებისამებრ კომისია ჩაერთვება მსგავსი ღონისძიებების ინფორმაციის გავრცელებაში.

კომისიის წევრებმა მადლობა გადაუხადეს რაიონული გამგეობების წარმომადგენლებს მათ რაიონებში სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარებისთვის.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში" ფარგლებში, III და IV კვარტალში, განხორციელებული ახალგაზრდული და სპორტული პროექტების შესახებ ინფორმაცია (დანართი).

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობის მიერ, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში“ ფარგლებში, III და IV კვარტალში, განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაცია კომისიას გამგეობების წარმომადგენლებმა წარუდგინეს.

კახაბერ ცქიტიშვილი (გლდანის რაიონის გამგეობა) - გამგეობის მიერ საანგარიშო პერიოდში რაიონს შეემატა 4 სატრენაჟორო სივრცე, რაზეც მოთხოვნა მზარდია, აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 34 სპორტულ მოედანს.

ბელა ჯეგბაშვილი (ნაძალადევის რაიონის გამგეობა) - საანგარიშო პერიოდში ნაძალადევის რაიონს შეემატა 15 სატრენაჟორო სივრცე, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2 სპორტულ მოედანს. ტრენაჟორებთან დაკავშირებით მოსახლეობის მოთხოვნა დიდია, გამგეობაში შემოდის ბევრი განცხადება ამ მიმართულებით და შესაბამისად, 2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხა, რომ რაც შეიძლება მეტი ახალი სატრენაჟორო სივრცე შეემატოს რაიონს.

ბესო ჟღენტი (დიდუბის რაიონის გამგეობა) - გამგეობის მიერ საანგარიშო პერიოდში რაიონს შეემატა 7 სატრენაჟორო სივრცე, რაზეც მოთხოვნა მზარდია დიდუბის რაიონშიც. აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 8 სპორტულ მოედანს.

პაატა ბაღათურია (ჩუღურეთის რაიონის გამგეობა) - გამგეობის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩუღურეთის რაიონს შეემატა 5 სატრენაჟორო სივრცე. აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 21 სპორტულ მოედანს.

ირაკლი პაიჭაძე (ვაკის რაიონის გამგეობა) - ვაკის რაიონში მოეწყო 6 სატრენაჟორო სივრცე და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 6 სპორტულ მოედანს 2018 წლის I და II კვარტალში. III და IV კვარტალში მსგავსი ინფრასტრუქტურული სამუშაოები არ განხორციელებულა.

თენგო ფოფხაძე (საბურთალოს რაიონის გამგეობა) - გამგეობის მიერ საანგარიშო პერიოდში საბურთალოს რაიონში მოეწყო 18 სატრენაჟორო სივრცე, რაზეც მოთხოვნა მზარდია და წლის განმავლობაში მოთხოვნის შესაბამისად მოეწყობა მეტი სატრენაჟორო სივრცე. გარდა ტრენაჟორებისა, აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 34 სპორტულ მოედანს. რეაბილიტაცია ხორციელდება ყველა სტანდარტის დაცვით და გამოიყენება უმაღლესი ხარისხის მასალა.

ნიკა ელისაშვილი (ისნის რაიონის გამგეობა) - გამგეობის მიერ საანგარიშო პერიოდში ისნის რაიონს შეემატა 1 სატრენაჟორო სივრცე და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 8 სპორტულ მოედანს.

მიხეილ კორძახია (სამგორის რაიონის გამგეობა) - გამგეობის მიერ საანგარიშო პერიოდში სამგორში მოეწყო 13 სატრენაჟორო სივრცე, რაზეც მოთხოვნა მზარდია და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 5 სპორტულ მოედანს.

დავით კვინტრაძე (კრწანისის რაიონის გამგეობა) - გამგეობის მიერ საანგარიშო პერიოდში კრწანისის რაიონში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 12 სპორტულ მოედანს. მოთხოვნიდან გამომდინარე მოეწყო 3 სატრენაჟორო სივრცე. კრწანისის რაიონში მსგავს სივრცეებზე სხვა რაიონებთან შედარებით მოთხოვნა ნაკლებია.

ირაკლი თუმანიშვილი (მთაწმინდის რაიონის გამგეობა) - გამგეობის მიერ საანგარიშო პერიოდში მთაწმინდის რაიონში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2 სპორტულ მოედანს, რომელთა ბიუჯეტმა შეადგინა 399 828.69 ლარი.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე) - გლდანის რაიონის გამგეობა როგორ ახორციელებს მონიტორინგს, რამდენად არის ჩართული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები ამ პროცესში. თუ არის ფორმატი, იმისა რომ რაიონებში 6 თვეში ერთხელ გახხორციელდეს ინვენტარიზაცია და მოსდეს სპორტული მოედნების მდგომარეობის აღწერა.

- საკრებულოში შემოსული კეთილმოწყობის ღონისძიებების ბიუჯეტი რაიონებში არ არის ჩაშლილი კონკრეტული აქტივობების დონეზე. შესაბამისად, ვერ ვადევნებთ თვალს ცვლილებებს. როდესაც მივიღეთ რაიონებიდან ბიუჯეტის შესრულება, მაგალითისთვის, დამტკიცებულ ბიუჯეტში ნაკლები რაოდენობა იყო მითითებული სატრენაჟორო სივრცის მოსაწყობად, ხოლო ანგარიშში, შესრულების მიხედვით მეტი სივრცე მოეწყო, ეს რა თქმა უნდა დადებით ფაქტს წარმოადგენს, თუმცა საინტერესოა როგორ ხორციელდება. აქედან გამომდინარე, ყოველ 6 თვეში ერთხელ გამგეობებს გადაეგზავნებათ წინასწარ შემუშავებული ფორმა, რომლითაც უნდა მოგვაწოდონ ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში რაიონში განხორციელებული და მიმდინარე პროექტების შესახებ, როგორც სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების, ასევე ინფრასტრუქტურის (სპორტული მოედნები, ტრენაჟორები) მიმართულებით. კომისია მოახდენს მიღებული ინფორმაციის დამუშავებას. ეს საჭიროა პირველ რიგში იმისთვის, რომ გვქონდეს ინფორმაცია ყველა რაიონში სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებზე და მეორე, რაიმე ინციდენტის შემთხვევაში პირველ რიგში, კომისიას მოუწევს საკითხზე პასუხის გაცემა და კომენტარის გაკეთება. ამიტომ, გარდა მონიტორინგის წარმოებისა, გვსურს მაქსიმალურად ინფორმირებული ვიყოთ.

კახაბერ ცქიტიშვილი (გლდანის რაიონის გამგეობა, ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილების უფროსი) - გამგეობის თანამშრომლები მიდიან მისამართზე, აფასებენ დაზიანების ხარისხს, აღწერენ მდგომარეობას და შემდეგ გამარჯვებულ კომპანია ახორციელებს რეაბილიტაცია - შეკეთებას. აღნიშნული პროცესი ხორციელდება იმ შემთხვევაში, როცა გამგეობაში შედის ინფორმაცია სპორტული მოედნის დაზიანების შესახებ და არა პერმანენტულად.

შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი) – საუბნო განყოფილებებს და მაჟორიტარი წევრის წარმომადგენლობებს აქვთ თავიანთ ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნების და ტრენჟორების სივრცეების ბაზა. ყოველდღიურად მიდიან ბაზაში აღნიშნულ მისამართებზე და ახორციელებენ მონიტორინგს. დაზიანების შემთხვევაში ხდება კომუნიკაცია გამგეობასთან და მიმდინარე საკითხზე შესაბამისი რეაგირება.

თენგო ფოფხაძე (საბურთალოს რაიონის გამგეობა) - პროექტები ყველა კვარტალში შეიძლება შეიცვალოს, შეთანხმების საფუძველზე სატენდერო ეკონომიებიდან და მუხლებს შორის ცვლილების შედეგად ხდება თანხების მობილიზება აღნიშნული პროექტების განსახორციელებლად, მოთხოვნის შესაბამისად.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული, III და IV კვარტალში, განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაცია (დანართი).

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ჩაკვეტაძემ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების წარმომადგენლებს კომისიის ინიციატივა წარუდგინა, რომელიც შეეხება პროექტს „თბილისის მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგა“.

გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე) - ყველა რაიონში ტარდება ჩემპიონატები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, თუმცა ჩვენ გვინდა შემოგთავაზოთ ჩავატაროთ ერთიანი ტურნირი, სადაც ჩართული იქნება ყველა ოლქიდან თითო საჯარო სკოლა და თუ რაიონულ ტურნირში მაგალითისთვის იხარჯება 6000–7000

ლარი, აღნიშნული ტურნირის ჩასატარებლად თითო გამგეობიდან საჭირო იქნება თანამონაწილეობა 3000 – 3500 ლარით. სისტემა და პრინციპი შესამუშავებელია, მაგრამ იდეა არის ძალიან საინტერესო.

გარდა ამისა, განსაკუთრებული იქნება მაჟორიტარების როლი, ვინაიდან პირველ ეტაპზე ვფიქრობთ, რომ 24 ან 25 სამაჟორიტარო ოლქის თითო საჯარო სკოლის გუნდი ჩაერთოს ტურნირში.

იდეა მდგომარეობს იმაში, რომ სკოლები გააქტიურდეს, სპორტის მასწავლებლებს ჰქონდეთ მოტივაცია მოამზადონ გუნდები. მათ ეცოდინებათ, რომ ყოველწლიურად, აპრილის ბოლოს დაიწყება თბილისის ჩემპიონატი სკოლებს შორის და მათი გუნდი მიიღებს მონაწილეობას.

კომისიას და გამგეობის წარმომადგენლებს დეტალური ინფორმაცია პროექტის შესახებ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სამდივნოს თანამშრომელმა, ოთარ აბულაძემ წარუდგინა.

ოთარ აბულაძე (თბილისის საკრებულო, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სამდივნოს მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი) - პროექტის მიზანია მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა და სკოლებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

პროექტის ამოცანებია: მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა; სპორტულ შეჯიბრებებში მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა; მოსწავლეებისათვის თავისუფალი დროის ფიზიკური აქტივობით შევსება; მასობრივი სპორტული ღონისძიებებით კერძო სექტორის დაინტერესების გაზრდა; სასკოლო სპორტული შეჯიბრებების სისტემის შემუშავება ინოვაციური მეთოდებისა და ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით.

ეს არ ეხება მხოლოდ ფეხბურთს. ეს იქნება საპილოტე ვერსია, რათა გამოვლინდეს თუ რაიმე ხარვეზი არსებობს, შემდეგ კი დაემატება სხვა სახეობებიც.

დღეს ელექტრონული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, საკმაოდ აქტუალურია ინტერნეტ თამაშები. მოტივაცია და სპორტული თამაშების მიმართ ინტერესი დღესდღეობით ბავშვებში ნაკლებია, ვიდრე ეს იყო 20 წლის წინ. მასობრივი სპორტით და ზოგადად სპორტით ბავშვები ნაკლებად არიან დაკავებულები, ამიტომ ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ რომ მოსწავლეებში გავზარდოთ მოტივაცია და სპორტისადმი ინტერესი. ამისთვის გვინდა კომპიუტერული თამაში გადმოვიტანოთ რეალობაში.

ტურნირში სასურველია მონაწილეობა მიიღოს 24 გუნდის, 9-12 კლასის მოსწავლეებმა. ოლქების მიხედვით თითოეულ რაიონს ექნება კვოტა. 24 გუნდი (თითოეულში 12 მონაწილე); სამგორი, გლდანი - 4 გუნდი; საბურთალო, ისანი, ნაძალადევი - 3 გუნდი; ვაკე, დიდუბე, - 2 გუნდი; მთაწმინდა, კრწანისი, ჩუღურეთი - 1 გუნდი.

სკოლა როგორ უნდა შეირჩეს წარმოგიდგენთ კრიტერიუმებს, თუმცა გამგეობას ექნება შესაძლებლობა დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება შერჩევის კრიტერიუმებთან დაკავშირებით.

გამგეობა რაიონში არსებული საჯარო სკოლებიდან შემთხვევითობის პრინციპით (კენჭისყრის შედეგად), კვოტის შესაბამისად შეარჩევს სკოლებს, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ გუნდებს. ტურნირში მონაწილეობას მიიღებს 24 სკოლის გუნდი, 300-მდე მოსწავლე.

ტურნირი ჩატარდება ლიგის და პლეიოფის გაერთიანებული სისტემით. 24 გუნდი გადანაწილდება ოთხ ექვსგუნდიან ქვეჯგუფში; ქვეჯგუფებში გუნდები იასპარეზებენ ლიგის სისტემით; 16 საუკეთესო გუნდი

პლეიოფში გააგრძელებს ასპარეზობას. ჩატარდება კენჭისყრა, თითო გუნდი ითამაშებს 2-2 თამაშს. ეს ნიშნავს, რომ თითო სკოლა 10 თამაშს მაინც ითამაშებს.

ტურნირები აქამდეც ტარდებოდა სკოლებში, თუმცა ეს იყო ოლიმპიური სისტემით, რასაც ჩვენი აზრით შედეგი არ მოაქვს. ხოლო ამ შემთხვევაში სკოლას შესაძლებლობა ექნება მინიმუმ 10 თამაში ჩაატაროს, რაც ავტომატურად ნიშნავს სკოლებში სპორტის გაკვეთილების გააქტიურებას, ვინაიდან გუნდი მომზადებული უნდა ჰყავდეთ თამაშებისთვის. აღნიშნული თემა მოტივაციას გაზრდის როგორც მოსწავლეებში, ასევე მასწავლებლებში.

ტურნირისთვის შეიქმნება ელექტრონული პორტალი. ტურნირის ელექტრონული პორტალი თემატურად ორ ნაწილად იყოფა: ინფორმაციული სახის, ტექნიკური და სტატისტიკური მონაცემები;

სიახლეები - მიმდინარე ახალი ამბები, ინფორმაცია ტურნირის მოსამზადებელი პერიოდის, კენჭისყრისა და სხვა აქტივობების თაობაზე; გალერეა - ფოტო/ვიდეო მასალა;

კალენდარი/შედეგები - ტურნირის კალენდარი. თითოეული მატჩის ჩატარების შემდეგ ონლაინ რეჟიმში აიტვირთება მატჩთან დაკავშირებული ყველანაირი სტატისტიკური მონაცემები (ანგარიში, გოლის ავტორები, ასისტენტები, ბარათები და ა.შ); რეიტინგები - საუკეთესო მაჩვენებლები;

გუნდები/მოთამაშეები - მონაწილე გუნდებისა და მოთამაშეების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია, რეიტინგები, ფოტო/ვიდეო მასალა; ბონუს სისტემა - მონაწილეებს თითოეულ მატჩში ნაჩვენები შედეგის მიხედვით დაერიცხებათ ბონუს ქულები, რაც აისახება მათ პროფილზე. პორტალზე გადაიცემა ყველა ძირითადი თამაშის ონლაინ ჩვენება.

პორტალს პირდაპირი ბმა ექნება ფეისბუქ ვებ-გვერდთან, რაც ავტომატურად გამოიწვევს სკოლების გააქტიურებას. გარდა ამისა, ასეთი ტურნირები გამოავლენს წარმატებულ ბავშვებს, რომლებიც შემდგომ ჩაერთვებიან პროფესიულ სპორტში.

ასევე, მოხდება კერძო სექტორის დაინტერესება მასობრივი სპორტული ღონისძიებებით; ინოვაციური მეთოდებისა და ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით შემუშავდება სასკოლო სპორტული შეჯიბრებების სისტემა.

გარდა ამისა, იმისათვის, რომ მოხდეს მასობრივი სპორტის განვითარება ჩატარებულ სპორტულ ტურნირებს ერთმანეთთან უნდა ჰქონდეთ ბმა. რაც გულისხმობს ტურნირების გაგრძელებას სკოლებიდან უნივერსიტეტებში, შემდეგ კი სხვადასხვა ორგანიზაციებში დასაქმებულ პირებს შორის.

ტურნირების დასპონსორებისთვის, ბიზნესთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს, რომლებიც დააწესებენ სპეციალურ პრიზებს და შემდგომში, როდესაც ტურნირს ექნება ყოველწლიური ხასიათი დავაწესებთ გარდამავალ თასს.

გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე) - პროექტის იდეა საინტერესოა. პირველ ეტაპზე ვაპირებთ პროექტი შევათანხმოთ ქ. თბილისის მერის მოადგილესთან, ილია ელოშვილთან და ქ. თბილისის მერიის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსთან, ირაკლი გვილავასთან. თქვენგანაც თუ დაინტერესება იქნება კარგია, ვინაიდან ეს პროექტი გამგეობების ჩართულობის გარეშე ვერ განხორციელდება.

სამომავლოდ გვინდა, რომ მუნიციპალიტეტში დასაქმებული პირების ბაზა გაკეთდეს, სადაც აღნიშნული იქნება დასაქმებულთა სპორტული ინტერესი. ბაზების გაკეთება დაწყებულია. თუ თქვენგანაც იქნება დაინტერესება პროექტს მერის მოადგილესაც შევთავაზებთ და დეპუტატებიც აქტიურად ჩავერთვებით.

პირველ ეტაპზე, გავივლით ფინანსურ და სამართლებრივ საკითხებს, როგორ შეიძლება პროექტის ერთობლივად განხორციელება, შემდგომში კი უკვე ჩავრთავთ სპონსორებსაც და პროექტს მაშტაბურ სახეს მივცემთ.

დავით რურუა (კომისიის წევრი) - მივესალმებით აღნიშნულ ინიციატივას, საინტერესო იდეაა და გარდა ფეხბურთის ტურნირისა, შესაძლებელია სხვა სახეობებშიც ჩავატაროთ მსგავსი ტურნირები. მაგალითად ცურვაში და ა. შ.

ალექსანდრე ბრეგვაძე (ვაკის რაიონის გამგეობა, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი) - ჩვენს მიერ რაიონებში ორგანიზებული ტურნირები არ არის განკუთვნილი სკოლის მოსწავლეებისათვის და მასში ჩართულები არიან 18 წლის და უფროსი ასაკის ახალგაზრდები, ამიტომ ახალმა პროექტმა აღნიშნული ტურნირები არ უნდა ჩაანაცვლოს და ჩვენ უნდა შეგვეძლოს პარალელურად მათი განხორციელება.

გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე) - რა თქმა უნდა, ამ პროექტის დაწყება არ ნიშნავს უკვე არსებულის ჩანაცვლებას და გამგეობები გარდა ამ პროექტისა კვლავ შეძლებენ ტრადიციული ტურნირების ჩატარებას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე